THE PROBLEM OF THE RELATIONSHIP BETWEEN THEECONOMIC, SOCIAL, POLITICAL AND CULTURAL SPHERES OF SOCIETY (WHAT DILEMMA IS THE GEORGIAN STATE FACING – ONE ASPECT)

საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურის სფეროებს შორის ურთიერთობის პრობლემატიკისათვის (რა დილემის წინაშე დგას ქართული სახელმწიფო - ერთი ასპექტი)

Ketevan Akhobadze
National Academy of Sciences of Georgia
Doctor of Social Sciences (PhD)
Tbilisi, Georgia
ORCID ID:0000-0003-0534-9124
E-mail: akhobadze21@gmail.com

Abstract

In the article, the author brings out for discussion and puts forward the issues, which in his opinion, are most important for the development of all countries, and even more so, for the well-being and happy future of Georgia. Discusses topics related to the four main systems - political, economic, social, cultural - created by people's activities and different types of relationships in society.

The new perception of the world, according to scientists, has changed a lot. It is radically different from the old European traditional visions: when, post-modernist understanding looks at the world and the person differently, when relationship-communication and collective agreement-contract became a priority, when changes in the value system take place, and the development of society is multivariant-diverse.

Cultural or spiritual changes taking place in society often cause fear in those who cannot give up traditional norms and look at the changes with concern. These changes have given rise to the most pressing political issues in developed countries today. Cultural or spiritual changes taking place in society often cause fear in those who cannot give up traditional norms and look at the changes with concern. These changes have given rise to the most pressing political issues in developed countries today.

What is the relationship between the economic, social, political and cultural spheres of society - this is the starting point that is discussed in the paper. The author believes that without understanding this issue, the future of the state will face difficult challenges, which still exist in the reality of our country.

It is known that the life of society includes all the phenomena listed above,

which reflect certain aspects of human existence and activity in a specific area, time-space situation. The economic sphere is a system of material-spiritual relationships at different levels, a system of social production, a process of creating material and spiritual well-being, which a person needs for existence and development. The political-legal sphere, as we know, is primarily related to the management of society, state organization and problems of power, laws, legal norms, and we, people, encounter established rules of behavior. Social sphere - refers to the interdependence between different groups of people, the basic values, ideals in the depth of a specific group and the part of life that a person will pass from birth to death. As for culture, that is, it is often called the spiritual sphere, it is the inner world of a person, feeling-emotions, experience, moral norms-views, etc. Realization and reflection through creative potential.

The paper raises a deep question - which sphere of society's life is more important for a person, for society? There is a dilemma in this question, the answer to which, from the author's point of view, is uniformly and unequivocally incorrect, and this error appears later in the process of managing and developing the life of society and the country. He believes that we should look at the issue from the perspective of interdependence-impact of these areas and talk about their mutual effects. Its purpose is to attract the attention of the government officials who hold the levers and fate of the country's management.

Key words: culture, society, cultural policy, cultural norms, values, cultural orientations, economy, politics, social sphere

ქეთევან ახობაძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (PhD)
თბილისი, საქართველო
ORCID ID:0000-0003-0534-9124
E-mail: akhobadze21@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში ავტორს განსახილველად გამოაქვს და წინ წევს საკითხებს, რომელიც მისი აზრით უმნიშვნელოვანესია ყველა ქვეყნის განვითარებისათვის და მით უმეტესს, საქართველოს კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლისათვის. განიხილავს თემებს, რომელიც საზოგადოებაში, ადამიანების საქმიანობით და სხვადასხვა ტიპის ურთიერთობით შექმნილ **ოთხ ძირითად სისტემას - პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული - ეხება .**

სამყაროს ახალი აღქმა, მეცნიერთა აზრით, ძალიან შეიცვალა. იგი კარდინალურად განსხვავდება ძველი ევროპული ტრადიციული ხედვებიდან: როცა, პოსტმოდერმისტული გაგება, სამყაროს და პიროვნებას განსხვავებულად უყურებს, როცა ურთიერთობა-კომუნიკაცია და კოლექტიური შეთანხმება-ხელშეკრულება პრიორიტეტად იქცა, როცა ღირებულებების სისტემის ცვლილებები ხდება, საზოგადოების განვითარება კი - მრავალვარიანტულ-მრავალფეროვანია.

საზოგადობაში მიმდინარე კულტურული ანუ სულიერი ცვლილებები ხშირად შიშს იწვევს იმათში, ვინც ტრადიციულ ნორმებს ეჭიდება და ცვლილებებს შეშფოთებით უყურებს. ამ ცვლილებებმა წარმოშვა დღეს, განვითარებულ ქვეყნებში, ყველაზე აქტუალური პოლიტიკური საკითხები.

თუ როგორი ურთიერთობაა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურის სფეროებს შორის - ეს არის ის ათვლის წერტილი, რომელიც ნაშრომში განიხილება. ავტორს მიაჩნია, რომ ამ საკითხის გააზრების გარეშე, სახელმწიფოს მომავალი რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება, რომელიც დღესაც საკმაოდ არსებობს ჩვენი ქვეყნის რეალობაში.

ცნობილია, რომ საზოგადოების ცხოვრება ყველა, ზემოთ ჩამოთვლილ ფენომენს მოიცავს, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე, დრო-სივრცულ მოცემულობაში, ადამიანის არსებობისა და საქმიანობის გარკვეულ ასპექტებს ასახავს. **ეკონომიკური სფერო** მატერიალურ-სულიერი ურთიერთობების სხვადასხვა დონეზე არსებული სისტემაა, სოციალური წარმოების სისტემა, მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შექმნის პროცესი, რომელიც ადამიანს სჭირდება არსებობისა და განვითარებისთვის. **პოლიტიკურ-სამართლებრივი** სფერო, უპირველეს ყოვლისა, როგორც ვიცით, საზოგადოების მართვასთან, სახელმწიფოებრივ მოწყობასთან და ძალაუფლების პრობლემებთან, კანონებთან, სამართლებრივ ნორმებთანაა დაკავშირებული და ჩვენ, ადამიანები, ქცევის დადგენილ წესებს ვეჯახებით. **სოციალური სფერო** - ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, კონკრეტული ჯგუფის სიღრმეში არსებულ ძირითად ღირებულებებს, იდეალებს და ცხოვრების იმ ნაწილს გულისხმობს, რომელსაც ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე გაივლის. რაც შეეხება **კულტურას**, ანუ მას ხშირად **სულიერ სფეროს** უწოდებენ, აქ ხდება პიროვნების შინაგანი სამყაროს, განცდა-ემოციების, გამოცდილების, მორალური ნორმა-შეხედულებების და ა.შ. შემოქმედებითი პოტენციალის საშუალებით რეალიზება და ასახვა.

ნაშრომში წამოწეულია სიღრმისეული საკითხი - საზოგადოების ცხოვრების რომელი სფერო უფრო მნიშვნელოვანი ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის? ამ კითხვაში დევს სწორედ დილემა, რომლის ერთგვაროვნად და ცალსახად პასუხი, ავტორის თვალსაზრისით, არასწორია და ეს შეცდომა, შემდეგ უკვე, საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრების მართვისა და განვითარების პროცესში იჩენს თავს. იგი მიიჩნევს, რომ საკითხს ამ სფეროების ურთიერთდამოკიდებულება-ზემოქმედების კუთხიდან უნდა შევხედოთ და მათ ურთიერთგავლენებზე ვისაუბროთ. მისი **მიზანია, ხელისუფლების იმ პირების ყურადღების მიქცევა, ვის ხელშიც ქვეყნის მართვის ბერკეტები და ბედია.**

საკვანძო სიტყვები: კულტურა, საზოგადოება, კულტურის პოლიტიკა, კულტურული ნორმები, ფასეულობები, კულტურული ორიენტაციები, ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციალური სფერო.

ერთადერთი წესი ცხოვრებაში, რომლითაც უნდა იცხოვრო,
არის დარჩე ადამიანად ყველა სიტუაციაში.
არისტოტელე

შესავალი

მაინც როგორი ურთიერთობაა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურის სფეროებს შორის?! ეს არის ის ათვლის წერტილი, რომელმაც ნაშრომის დაწერა გადამაწყვეტინა, რადგან ამ საკითხის გააზრების გარეშე, სახელმწიფოს მომავალი რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება, რომელიც დღესაც საკმაოდ არსებობს ჩვენი ქვეყნის რეალობაში. მოდით, ჯერ ჩამოვყალიბდეთ, რას წარმოადგენს თითოეული ეს სფერო. ცნობილია, რომ საზოგადოების ცხოვრება ყველა, ზემოთ ჩამოთვლილ ფენომენს მოიცავს, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე, დრო-სივრცულ მოცემულობაში, ადამიანის არსებობისა და საქმიანობის გარკვეულ ასპექტებს ასახავს. **ეკონომიკური სფერო** - მატერიალურ-სულიერი ურთიერთობების სხვადასხვა დონეზე არსებული სისტემაა, სოციალური წარმოების სისტემა, მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შექმნის პროცესი, რომელიც ადამიანს სჭირდება არსებობისა და განვითარებისთვის. **პოლიტიკურ-სამართლებრივი სფერო**, უპირველეს ყოვლისა, როგორც ვიცით, საზოგადოების მართვასთან, სახელმწიფოებრივ მოწყობასთან და ძალაუფლების პრობლემებთან, კანონებთან, სამართლებრივ ნორმებთანაა დაკავშირებული და ჩვენ, ადამიანები, ქცევის დადგენილ წესებს ვეჯახებით. **სოციალური სფერო** - ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, კონკრეტული ჯგუფის სიღრმეში არსებულ ძირითად ღირებულებებს, იდეალებს და ცხოვრების იმ ნაწილს გულისხმობს, რომელსაც ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე გაივლის. რაც შეეხება **კულტურას,** ანუ მას ხშირად **სულიერ სფეროს** უწოდებენ, აქ ხდება პიროვნების შინაგანი სამყაროს, განცდა-ემოციების, გამოცდილების, მორალური ნორმა-შეხედულებების და ა.შ. შემოქმედებითი პოტენციალის საშუალებით რეალიზება და ასახვა.

მეთოდი

ცხოვრება რთულია და ჩვენგან, ადამიანებისგან ამ რთული ამოცანების გადაწყვეტას ითხოვს. ამიტომ მნიშვნელოვანი საკითხების პრობლემატიკის შესწავლა-გააზრება მეცნიერულ კვლევას, ანალიზს და ახალ მიდგომებს მოითხოვს. სტატიაში დასმული საკითხები სწორედ თვისობრივი და შედარებითი კვლევის მეთოდებზეა დამყარებული.

მსჯელობები და დასკვნები

ახლა კი მივედით სწორედ იმ სიღრმისეულ საკითხამდე - საზოგადოების ცხოვრების რომელი სფერო უფრო მნიშვნელოვანი ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის? ამ კითხვაში დევს სწორედ დილემა, რომლის ერთგვაროვნად და ცალსახად პასუხი არასწორია და ეს შეცდომა, შემდეგ უკვე, საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრების მართვისა და განვითარების

პროცესში იჩენს თავს. საკითხს ამ სფეროების ურთიერთდამოკიდებულება-ზემოქმედების კუთხიდან უნდა შევხედოთ და მათ ურთიერთგავლენებზე ვისაუბროთ. ამის დასასაბუთებლად უამრავი მაგალითი არსებობს, მაგრამ ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, თემას ძალიან ვერ გავშლით. **ჩემი, როგორც მკვლევრის, ერთი კონკრეტული მოქალაქის მთავარი მიზანია, ყურადღება მივიქციო ხელისუფლების იმ პირების, რომელთა ხელშიც არის ქვეყნის მართვის ბერკეტებიც და ბედიც.**

სამყაროს ახალი აღქმა, მეცნიერთა აზრით, ძალიან შეიცვალა. იგი კარდინალურად განსხვავდება ძველი ევროპული ტრადიციული ხედვებიდან: როცა, პოსტმოდერმისტული გაგება, სამყაროს და პიროვნებას განსხვავებულად უყურებს, როცა ურთიერთობა-კომუნიკაცია და კოლექტიური შეთანხმება-ხელშეკრულება პრიორიტეტად იქცა, როცა **ღირებულებათა სისტემის ცვლილებები** ხდება, საზოგადოების განვითარება კი - მრავალვარიანტულ-მრავალფეროვანია.

ძველი განზოგადოებული ტრადიციული მიდგომები, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების ისტორიაზე იყო ორიენტირებული, მოდერნიზაციის თეორიის მომხრე თეორეტიკოს-მეცნიერების მიერ აღნიშნული იყო როგორც - ცალკეული ქვეყნების სპეციფიკური და განვითარების თავისებურებების „ვიწრო“ მიდგომა. თუმცა თავად მოდერნიზაციის თეორიის იდეოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ დასავლური საზოგადოების ღირებულებები და განვითარების მოდელები უნივერსალურია, განვითარების გზამკვლევი და მისაბაძია.

ცნობილია, რომ საზოგადოება რთული სისტემაა, რადგან იგი განსხვავებული ტიპის სხვადასხვა შემადგენელ ელემენტს მოიცავს. თანამედროვე საზოგადოებაში კი სახელმწიფო ხელისუფლება მთავარი შიგა ორგანოა, რომელიც მის ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე პროცესების რეგულირებას ახდენს. ასევე, თანამედროვე საზოგადოება ძალიან რთული სოციალური მოვლენაა. ვფიქრობ, სოციუმს, რომელსაც საერთო ღირებულებები განამტკიცებენ ერთიანობის სოციალური განცდა გააჩნია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ეს ღირებულებები ყველა ადამიანისათვის ერთნაირად როდია მისაღები. ვიცით, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგება - სამართლებრივ ნორმებზეა დამყარებული, რომელიც, თავისთავად, ითვალისწინებს მორალურ, ზნეობრივ, ადათობრივ ნორმებს. ამ საკითხს, უფრო ვრცლად, სხვა ნაშრომებში განვიხილავ... თეორიულად ეს ადვილად ლაგდება, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ხელისუფლების პრობლემა ღირებულებებს შორის დარეგულირების საკითხია, რადგან საჯარო პოლიტიკის განხორციელებისას ის, სწორედ ამ ღირებულებებს შორის არსებულ კონფლიქტს აწყდება და ამიტომ, მას არჩევანის გაკეთება უხდება.

ჩვენ, ადამიანებს, სახელმწიფოსთან პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ურთიერთობები გვაქს, მაგრამ მაინც ვერ ვაგვარებთ ძირითად პრობლემას - როგორი ხელისუფლება გვჭირდება? ან, როგორ უნდა მივიღოთ ისეთი ხელისუფლება, რომელიც გვჭირდება? აქ კი გვიწევს ისევ იმის შეხსენება, რომ ჩვენც, მოქალაქეები და სახელმწიფოც ურთიერთმოვალენი ვართ. ყველაფერს ამას ღრმა ფესვები აქვს და ის ერის კულტურაში განიშლება (ახობაძე, 2020:400-412).

2023 წლის დეკემბერი პოლიტიკური მოვლენებით საკმაოდ დახუნძლული იყო და ინტერნეტ სივრცეში უამრავ შეფასებას აღმოაჩენდა ადამიანი. მე პოლიტიკოსი არ ვარ და მოვლენების ანალიზს სხვადასხვა გადასახედიდან ვაკეთებ, უფრო როგორც მკვლევარი... ამ პოლიტიკურ სიჭრელეში ერთი ძალზედ საინტერესო მოვლენა მოხდა: 2023 წლის 3 დეკემბერს ფლორენციაში დიდი ყრილობა ჩაატარა ევროპარლამენტის შიგნით მოქმედმა მემარჯვენე პოლიტიკურმა ჯგუფმა - „იდენტურობა და დემოკრატია“ (ID). პირადად ჩემთვის, თავიდან, მათი სლოგანი, რომელიც ასე ჟღერდა: „არ გვინდა ეს გლობალისტური ევროპა. ჩვენ სოლიდარობას, უსაფრთხოებას, თავისუფლებას და საკუთრებას ვუჭერთ მხარს“, ძალიან დამაფიქრებელი გახდა.

ამ ძალიან პოლიტიზირებულ გარემოში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ყველა ინფორმირებული ვართ, რომ მომავალ, 2025 წელს, ევროკავშირში არჩევნები უნდა ჩატარდეს. ყურადსაღები და საინტერესო იყო ისიც, რომ ღონისძიებას მასპინძლობდა იტალიის ვიცე-პრემიერი მატეო სალვინის პარტია (ლეგა) და შეკრებას ევროპის 14 დამოუკიდებელი პარტია, 1000-ზე მეტი წევრი, წარმომადგენელი ესწრებოდა. ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, ეს ინფორმაცია ღიაა და დაინტერესებულ პირს შეუძლია მოძებნოს. არც ეს ნაშრომია პოლიტიკაზე, რადგან კულტურის და ხელოვნების სოციოლოგიაში ვმუშაობ. თუმცა ამ საკითხებზე მომუშავე მკვლევრისთვის, ინტერნეტ-სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას, საინტერესო ამბების გარდა სხვა დატვირთვა ჰქონდა.

ყველაზე გამოკვეთილი რესპოდენტი იყო მარინ ლე პენი (პარტია “ეროვნული გაერთიანება“), რომელმაც ინტერვიუებში თავისი დამოკიდებულება მაკიაველის სიტყვებით გამოხატა: „ტირანების მიერ აგებული ციხე-სიმაგრე ხალხის უმოქმედობის შედეგია“... მონაწილეთა საერთო აზრი კი - თუ რეზუმეს გავაკეთებთ, ასეთია: ამ ისტორიულ დღეს ევროპელებს აქვთ არჩევანი - თავისუფლება თუ შიში, ადამიანთა დაცული უფლებები და სამუშაო ადგილები კეთილდღეობისთვის თუ - ექსტრემიზმი; მათ გამოსვლებში ღიად გაისმოდა მოწოდებები მემარცხენე, ბიუროკრატიული ძალების წინააღმდეგ ევროპის გაერთიანების და მდგომარეობის შეცვლის შესახებ, რადგან მათ აღარ უნდათ გლობალიზაცია და მილიონობით ევროპელს აღარ სურს საკუთარ სახლებში სტუმრად ყოფნა... სალვინის მოწოდება იყო, რომ ბრიუსელში, საერთო ძალისხმევით, მემარჯვენე კოალიცია შექმნან. წარმოადგინეს ახალი საარჩევნო პროგრამა - „ფლორენციის მანიფესტი ხალხებისა და ქვეყნებისათვის“. აშკარაა, ეს დოკუმენტიც იმის ნათელი მაგალითია, რომ მსოფლიო პოლიტიკური ვექტორი რადიკალურად იცვლება. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებას და თითოეულ ინდივიდს უფრო მეტი ყურადღება, სიფრთხილე და მოქნილობა სჭირდება, რათა ამ რთული პერიოდის წყალქვეშა დინებებში ჩვენი ქვეყანა არ დაზიანდეს. აღარ შეიძლება მხოლოდ ერთი გადასახედიდან განსჭვრიტო შენი ქვეყნის მომავალი, ბედი, მარტო პოლიტიკური განცხადებები, პოლიტიკური აზროვნება ვერაფერს შეცვლის და ისევ ქვეყანა დაზიანდება. ამას მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი მოცემულობა აქვს და ახსნას შევეცდები.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული და კულტურული იდენტობა მსოფლიოში განმარტებულია, როგორც გლობალიზაციისგან თავის დაცვის მცდელობა. მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ უახლოეს მომავალში, მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, კულტურა ყველასთვის ერთიანი და საერთო გახდება. სამწუხაროდ, სოციალურ პრობლემებზე და „პოლიტიკურ სანახაოებზე" გადართული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობას დღემდე არ აქვს მკაფიო წარმოდგენა იმაზე, ჩვენი სახელმწიფოს ხელისუფალთ მეცნიერების და კულტურის სფეროში რა მიზნები და განზრახვები გააჩნიათ. საშიშროება კი იმაშია, რომ კვლავ მეცნიერება და კულტურა კვლავ „რაიმეს დამატებით მოცემულობაში" არ ჩარჩეს

და მაინც, როგორც კულტურის სფეროს წარმომადგენელი, ვიჩქარებ და წინსწრებით, მცირე რეზიუმეს დავჯერდები კულტურის სფეროს გადასახედიდან: **ფუნდამენტური სამეცნიერო აღმოჩენები საზოგადოების პროდუქტიული ძალების ტრანსფორმაციას ხელს უწყობს, ხოლო კულტურის სფერო ხელოვნებით, სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების ურთიერთტანდემით, პლურალისტური არსებობისათვის განსხვავებულ სულიერ პროდუქტებს და მრავალმხრივ ინფორმაციებს ქმნის, რაც თავისთავად ცხადია, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიულობის და ჰუმანურობის** (რატომღაც, ამ სიტყვის გამოყენებას - „ჰუმანურობა", მკვლევრები გაურბიან. ის კი საჭირო და აუცილებელია) **გამოკვეთილი მაჩვენებელია.**

პიროვნების სახელმწიფოსთან კავშირ-დამოკიდებულება მრავალმხრივ ურთიერთობას გულისხმობს. ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ცნების - „დემოკრატია" - მნიშვნელობაც იცვლებოდა. გვესმის, რომ დემოკრატია, უპირველესად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას, დაცვას ემყარება. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს, იმ კონკრეტულ სახელმწიფოში, ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობა - თვალსაჩინოდ ასახავს. **საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სწორედ პრეამბულაშია** განსაზღვული ქვეყნის მთავარი მიზანი, რომ - „საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება". ე.ი. სახელმწიფო ხელისუფლებას საზოგადოება ქმნის და თავისთავად, სახელმწიფო ხალხის ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, დღემდე, პრაქტიკულად - **ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება,** აღმოჩნდა **ურთულესი**.

ცნობილია, რომ სოციალურ მეცნიერებაში ნორმების ცნება ღირებულებების კონცეფციასთან ასოცირდება. ეს ნორმები პიროვნებების ქცევას არეგულირებენ სხვა ადამიანებთან მიმართებაში. მეცნიერები ამიტომ უწოდებენ მათ **კულტურულ ნორმებს**. ამრიგად, **კულტურული ნორმები ქცევის გარკვეული წესებია, რომლებიც ადამიანის მოქმედებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებში არეგულირებს,** რაც საზოგადოების მთლიანობისა და სტაბილურობის გარანტიებს

უზრუნველყოფს. მაშასადამე, მათში, უფრო მეტი მნიშვნელობით, ვიდრე ღირებულებებში, არსებობს მოწესრიგების მომენტი, გარკვეული წესით მოქმედების მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმების არარსებობის გამო. ძველ ფასეულობათა ცვეთა და ახლის ვერ განვითარება, კულტურის ერთიანობას არღვევს. სამწუხაროდ, ეს სურათი მივიღეთ დღევანდელ მსოფლიოში.

თუ ისტორიას გადავხედავთ, ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე ფილოსოფოსი, რომელმაც წამოჭრა საკითხი სიკეთის არსის და ღირებულების შესახებ, იყო **სოკრატე**. როგორც მეცნიერები აფასებენ, ეს ათენის დემოკრატიის კრიზისით, ადამიანის ყოფიერების და საზოგადოების ორგანიზების კულტურული ნორმების ცვლილებით, ადამიანთა სულიერი ცხოვრების ორიენტირების დაკარგვით იყო გამოწვეული.

ღირებულებების თემა მრავალი ცნობილი მეცნიერის შრომებში მნიშვნელოვნად განიხილებოდა, მაგრან ყურადღება გავამახვილო მინდა რამდენიმე მათგანზე: ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული მეცნიერი იყო გერმანული წარმოშობის ამერიკელი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი რობერტ შიროკაუერი, რომელიც ჰარტმანის გვარით (Robert S. Hartman, 1910/1923?-1973), ყალბი პასპორტით გაიქცა გერმანიიდან პარიზში და რომელმაც ღირებულებების მათემატიკური ფორმულირება, „ღირებულებების სამი განზომილება“ შეიმუშავა. ის, ასევე, ფორმალური აქსიოლოგიის შემქმნელი გახლავთ. თავის კვლევებს პრაქტიკული დატვირთვა მისცა, რომლებიც დღეს ცნობილია როგორც Hartman Value Profile (HVP). ღირებულებების გაზომვის ეს მეთოდი მოიცავს სუბიექტის პიროვნულ ღირებულების სისტემას, პიროვნულ თვისებებზე და, შესაბამისად, ქცევაზე დასკვნებს იძლევა. ეს მახასიათებლები შეიძლება გაიზომოს და გაზომვა კი ყოველგვარ მანიპულაციას გამორიცხავს (The University of Tennessee/Libraries/2023).

რობერტ ჰარტმანს თავისი წინამორბედი ჰყავდა. ეს იყო გერმანელი ფილოსოფოსი **ნოკოლოზ ფონ ჰარტმანი** (Hartmann 1882-1950, ზოგიერთ წყაროში გარტმანი), **ახალი ონტოლოგიის** (ონტოლოგია, ფილოსოფიური მიძღვრებაა ყოფიერების არსებობის, სტრუქტურის და კანონზომიერების შესახებ, რომელიც მეტაფიზიკის განშტოებაა და მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ბერძენი ფილოსოფოსი პარმენიდე, ძვ.წ. 540/515 – ძვ.წ. 450) **შემქმნელი**, რომელიც დიდ ყურადღებას ღირებულებების სტატუსს (1908 წლის გამოცემა) უთმობდა, „იდეალური ღირებულებების“ თეორიას, რომლის ახსნის დროს შელერის „ღირებულებების მატერიალურ ეთიკას“ ეყრდნობოდა.

ღირებულებებს, ამტკიცებდა ფილოსოფოსი, იდეალური არსებობა გააჩნიათ, არიან როგორც ობიექტური რეალობის, ისე ცნობიერების მიღმა და იძულებით ძალას არ ავლენენ, თავიანთ განმსაზღვრელ მოქმედებას სამყაროში მხოლოდ ადამიანის მეშვეობით გამოხატავენ: მას კი არჩევანის თავისუფლება გააჩნია ამ ღირებულებების როგორც განხორციელებაში ისე - უარყოფაში, სხვა იდეალური ობიექტების მსგავსად, ღირებულებები აბსოლუტური, მარადიულია - მათი არსებით, შინაარსითა და მნიშვნელობით. სწორედ ამ ღირებულებებით და ღირებულებითი ცნობიერების წყალობით,

რომლებიც **ინდივიდს** მიანიშნებს, როგორ უნდა იყოს „ცხოვრებისეული სიტუაციების ცვალებად კალეიდოსკოპში“, ის/**ინდივიდი** მასში თავმოყრილი ფასეულობებით, განასახიერებს რა მსოფლიო ღირებულებებს, თავად ხდება „დემიურგის თანაშემწე“, ღვთაების ტოლფასი (Stanford Encyclopedia of Philosophy).

კულტურა სულიერი სისტემის ღერძია. საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, კულტურას, საზოგადოებაში, სხვადასხვა ფუნქცია და გამოვლინება გააჩნია - ის სიმბოლოებს და ფასეულობებს ქმნის, ანუ ეს უკანასკნელი, მისი კომპონენტებია. როგორც მიიჩნევენ, კულტურა არ არსებობს ფასეულობათა სისტემის გარეშე და პირიქით. ყოველივე ეს, ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებს ანვითარებს, აძლიერებს, ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს და ახალ მოთხოვნებს ქმნის... ინდივიდს თუ საზოგადოებას არაერთი ღირებულება გააჩნია, რომელიც სტრუქტურულ კავშირშია ერთმანეთთან და ერთ მთლიან, მეტ-ნაკლებად სტაბილურ სისტემას ქმნიან. მათ, ტიპოლოგიურად განიხილავს დარგის არაერთი მკვლევარი: **ლოტცე, კოჰენი, შპრანგერი, მაქს და ალფრედ ვებერები, ვინდელბანდი, რიკერტი, აბრაამ მასლოუ, ინგლჰარტი, შვარცი**... მეცნიერებმა ეს ტიპები, ინტერესების მიხედვით დააჯგუფეს და ინდივიდუალურ ინტერესებზე ორიენტირებული ღირებულებათა ჯგუფი გამოიყო (პარსონსი, ბეკერი, კოლბი და სხვ.). ღირებულებებია ყოველივე ის, რასაც მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოღვაწეობისათვის, რომელიც გარდა სულიერი იდეალებისა, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, **ზნეობრიობის ნორმებსა და პრინციპებს მოიცავს** (ახობაძე, 2020: 195-208).

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ამერიკაში მოღვაწე გერმანელი პოლიტოლოგის და სოციოლოგის წიგნზე - „კულტურული ევოლუცია; როგორ იცვლება ადამიანის მოტივაციები და როგორ ცვლის ის სამყაროს“, რომელშიც თავმოყრილია რ. ინგლჰარდის, სხვადასხვა დროს გამოცემული, ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი სტატია. მეცნიერის ძალიან მრავალფეროვანი კვლევის შედეგები ძალიან ახლოს აღმოჩნდა ჩემს თვალსაზრისებთანაც, წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ **რონალდ ინგლჰარდმა** (1934-2021), რომელიც წლების განმავლობაში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროკავშირის კონსულტანტი იყო, დაამტკიცა: **ადამიანების ღირებულებები და პრიორიტეტები არ არის უცვლელი და ისინი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებზე დიდ გავლენას ახდენენ.** (გარდაცვალებამდე, Econs.Online-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, მეცნიერი მის ყველაზე მნიშვნელოვან კვლევისა და დასკვნების შესახებ საუბრობს (Грозовский Б,.2021).

თავდაპირველი ინტერესი მისმა ერთმა წინადადებამ გააღვიძა ჩემში: „ვფიქრობ, ჩვენ რადიკალური ცვლილებები გვჭირდება, რათა სწრაფად მზარდ ეკონომიკურ უთანასწორობას გავუმკლავდეთ“. საქართველოს ამჟამინდელ რეალობასაც ხომ ასეთი აზროვნება და მოდგომები სჭირდება. ალბათ ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნე, რ. ინგლჰარდის კვლევების შედეგების მიხედვით მიღებულ დასკვნებს, უმრავლეს შემთხვევაში, ვეთანხმები.

როგორც მისი კოლეგები და ნაშრომების მკვლევრები აღიარებენ, რონალ ინგლჰარტის დამსახურება მოკლედ, ასე შეიძლება გამოვხატოთ:

1. შეიქმნა ინსტრუმენტები (WVS, European Social Survey, Eurobarometer), რომლებიც შესაძლებელს ხდის რეგულარულად გავზომოთ და შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის მაცხოვრებლების ღირებულებები, იდეები, არჩევანი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;

2. მოდერნიზაციის თეორიის ახალი გადასახედიდან გააზრებით, აჩვენა როგორ და რა გავლენებით იცვლება ეს ღირებულებები, რომლებიც ადამიანთა საზოგადოებებს უფრო ღიას, თავისუფალს, თანასწორს ხდის, ამავდროულად, გზას უხსნის ფემინიზმის, გენდერული თანასწორობის, მწვანე ეკონომიკის პრაქტიკას და პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის ახალ ფორმებს;

დემოკრატიის თეორიის თავიდან გააზრებით, აჩვენა - რომელი ღირებულებები, პრაქტიკები, რესურსები და შესაძლებლობები ხსნის გზას დემოკრატიული ცვლილებებისკენ, რა პირობებში ხდება ისინი მდგრადი და როდის - პირიქით, ავტორიტარულისკენ დაბრუნებას, (rollback), უკან დახევს ნიშნავს (Грозовский, 2021).

რ. ინგლჰარტი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური კრიზისები ხშირად იწვევს ავტორიტარული მმართველობის მოთხოვნას. ასეთ დროს, ხალხი თავს დაუცველად გრძნობს, ეს კი ძლიერი ლიდერების მოთხოვნას კიდევ უფრო აძლიერებს, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოების გაერთიანება და მისი პრობლემების მოგვარება, თუმცა სწორედ ამ დროს ხდება ეროვნული უთანხმოების პროვოცირება (Инглхарт, 2023, 29-50).

საინტერესოა მეცნიერის თვალსაზრისი, როცა თაობების ემოციურ მეხსიერებას და ღირებულებით პრიორიტეტებს იკვლევს. მიაჩნია, რომ - ძალიან განსხვავებულია. მისმა პირველმა კვლევებმა დაადასტურა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანების განწყობა სწრაფად იცვლება: **მცირდება** - იერარქიული ძალაუფლების ლეგიტიმაცია, პატრიოტიზმი და რელიგია, **იზრდება** - თვითრეალიზაციის ღირებულებები, პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილი და შესაბამისი უნარები. როცა ინგლჰარტმა ღირებულებების ტრანსფორმაციის განხილვა დაიწყო, როგორც კულტურული ცვლილების უფრო ფართო პროცესი, გაარკვია, რომ ტრადიციული ღირებულებების გადანაცვლება არ იწვევს რელიგიის მნიშვნელობის შემცირებას - ის აგრძელებს ადამიანების ქცევის რეგულირებას და გავლენას ახდენს სოციალურ ნორმებზე. მას მიაჩნია, რომ თაობებს შორის ღირებულებითი განსხვავებები ასახავს მათ გამოცდილებას და, უპირველეს ყოვლისა, სამყაროში მომხდარ ცვლილებებს, რაც მოხდა ამ თაობების ბავშვობაში და მოზარდობაში - „მდუმარე რევილუცია“ (Инглхарт, 2023, 240-272).

ინგლჰარტმა პ.ნორისთან და მისი თანამოაზრეების გუნდთან ერთად, ჰარვარდში „სულიერ ღირებულებებზე“ მუშაობა გააგრძელა. ამ დროისათვის ქმნის რონალდ ინგლჰარდი თავის ცნობილ „კულტურის ღირებულებების რუკას“. საინტერესოა ინგლჰარტის და ველცელის თანაავტორობით ჩატარებული კვლევები კულტურის და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება-გავლენებზე. ისინი ამტკიცებენ, რომ **კულტურა**

პოლიტიკაზე ბევრად უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე პოლიტიკა - კულტურაზე. განიხილავენ 1980-1990 წლებში საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მდგომარეობას, როცა ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე „უბედური ქვეყანა“ იყო. აქ ჩვენც მოვიაზრებით, რადგან ამ დროისათვის, სსრკ-ს ნაწილს წარმოვადგენდით... (დღევანდელი მონაცემებით, არ დღეს არის ჩვენს ქვეყანაში მაღალი „ბედნიერების ინდექსი“) მისი კრახით დაშლის მიზეზი, მეცნიერების თვალსაზრისით, მრავალ მიზეზთა შორის, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი იყო ისიც, რომ ეკონომიკური წარუმატებლობის გვერდით, არსებობდა ბედნიერების ასეთი დაბალი დონე და ჩამოშლილი კულტურა. 1990-იანი წლების ეკონომიკურ მავარდნამ გააძლიერა უარყოფითი განწყობა. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო პოლიტიკური ავტორიტარიზმის მოთხოვნას. თუმცა შემდგომმა ეკონომიკურმა ზრდამ, თითქოს გაუმჯობესა ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელი, მაგრამ ძალიან ხანმოკლე იყო იმისთვის, რომ ადამიანების განწყობებში, გრძელვადიანი ცვლილებები გამოეწვია. რ. ინგლჰარტი კარგად აცნობიერებს, რომ საზოგადოებების განვითარება ძალიან რთული, არაწრფივი პროცესია, რომელშიც სხვადასხვა კომპონენტი ურთიერთკავშირშია და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. თავს არიდებს **მარქსის** ეკონომიკური დეტერმინიზმსაც და **ვებერის** კულტურულ დეტერმინიზმს, უარყოფს **ჰანთინგტონის** „ცივილიზაციათა შეჯახების“ ჰიპოთეზას და ამტკიცებს, რომ **კულტურას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ის არ მდგომარეობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დემოკრატიის საკითხის უთანხმოებაში** - როგორც ჰანთინგტონი ფიქრობდა (Инглхарт, 2023, 198-239).

ცნობილია, რომ ღირებულებითი **სისტემები**, მოდერნიზაციის **მამოძრავებელ ძალებსა** და **ტრადიციის მუდმივ გავლენას** შორის **ბალანსს ასახავს**. თავად, მოდერნიზაციის თეორიის კლასიკოსები კარლ მარქსიდან მაქს ვებერამდე, ფიქრობდნენ, რომ რელიგიისა და ეთნიკურობის საფუძველზე თვითგამორკვევა ერთ დღეს გაქრებოდა, მაგრამ როგორც ხედავთ, რელიგიამ და ნაციონალიზმმა თავიანთი საფუძველი შეინარჩუნეს და კიდევ ერთხელ კარგად დავინახეთ, რომ კულტურული მემკვიდრეობა ცვლილებების მიმართ - მდგრადია.

ღირებულებების ცვლილების თეზისი სამეცნიერო სივრცეში თავიდანვე საკამათო იყო. თავად თემა - ამოუწურავია. უფრო ფართოდ განხილვის საშუალებას კი სამწუხაროდ, ეს ფორმატი არ იძლევა. ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ძირითად საკითხს: რა დილემის წინაშე დგას ქართული სახელმწიფო თუ ახალი ხედვა-მიდგომებით არ მოხდება ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურის სფეროებს შორის ურთიერთობის საკითხის სწორი და დროული გააზრება. მსჯელობას კი ისევ ჩემი კულტურის და მეცნიერების სფეროთი დავიწყებ.

როგორც აკადემიკოსი **ა. ნოვიკოვი** მიიჩნევს, რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული, მეცნიერებამ, კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, უკანა პლანზე გადაწია რელიგია, თავად დაიკავა წამყვანი პოზიცია და უკვე, თვითონ მეცნიერები, საზოგადოებას, ცხოვრების ყველა სფეროში წესებს კარნახობდნენ. საუკუნეების განმავლობაში, სწორედ მეცნიერება იყო ის



საბაზისო ინსტიტუტი, რომელიც სამყაროს ერთიან სურათს აყალიბებდა, ზოგად თეორიებს ქმნიდა და ასე გრძელდებოდა XX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე საზოგადოებების განვითარებაში კარდინალური, წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესები არ მოხდა. მაგრამ აღნიშნული პერიოდისათვის, სამეცნიერო ცოდნის სწრაფმა ზრდამ, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, მსოფლიოს ერთიანი სურათის ჩამოშლა, ფრაგმენტაციის მკვეთრი ზრდა და, შესაბამისად, პროფესიული სფეროების მრავალ სპეციალობად დაშლა გამოიწვია, რასაც თანამედროვე საზოგადოების არა მხოლოდ ძლიერი დიფერენციაცია მოჰყვა, არამედ ის - ჭეშმარიტად, მულტიკულტურული გახდა (დღის წესრიგში მწვავედ, თითოეული კულტურის იდენტობის, თვითგამორკვევის საკითხი დგება, ქ.ა.), აღმოჩნდა, რომ არსებული ტრადიციული თეორიების მოდელები „შეზღუდული დიაპაზონისაა“, „განსხვავებულობის შესანარჩუნებლად“ ახალი ხედვა იყო საჭირო. და, მეცნიერებაც „გადაერთო ტექნოლოგიური რევოლუციის“ დინებაში (Новиков А.М. О роли науки в современном обществе. Ст.163-172).

როგორც დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, ჩანს, მეცნიერება, უშუალოდ პრაქტიკაზე გადავიდა, „მარადიული ცოდნიდან“ გადაერთო და ყურადღება იმ მოდელებზე გაამახვილა, რომლებიც პრობლემების მრავალწახნაგოვანი, მრავალმნიშვნელობიანი გადაწყვეტილებებით ხასიათდება და თან, უფრო სასარგებლოა. **თუ კლასიკური მეცნიერების კვლევის საგანი „ცალსახად საბოლოო“ იყო და მიღებული ცოდნა კი „აბსოლუტურად სანდო“, დღეს ვითარება უკვე შეცვლილია, რადგან, ყველა მკვლევარმა იცის, რომ ჭეშმარიტების დადგენა - მულტიდისციპლინარული ცოდნის შედეგად ხდება. კულტურის და ხელოვნების შესწავლაც ასე ხდება. კვლევის შედეგები ცვალებადია, რადგან ცვალებად სამყაროში პირობა-მოცემულობები იცვლება და ამიტომაც, კვლევის მოდელებიც განსხვავდება. ეს**

პროცესია, რომელსაც მეცნიერება თავისი განვითარების გზაზე გადის და ამჟამინდელი კვლევებიც მეცნიერულია და აუცილებელი, თუმცა - ნაკლებად „აღმომჩენითი“ (Филип Х,. 2023).

დღეს, კაცობრიობის განვითარებაში, საზოგადოებებში **მეცნიერების როლის გადაფასება ხდება** და ზოგადად მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ **მისი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში მკვეთრად შეიცვალა** - რაც მნიშვნელოვან გავლენას იწვევს ცხოვრების ყველა ასპექტზე: პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ სფეროზე, განათლებაზე, კულტურაზე და ა.შ.

კარგად მოგეხსენებათ, საქართველოში ამჟამინდელი განათლების ხარისხის მდგომარეობა (განსაკუთრებით ბოლონიის პროცესში ჩართვის შემდეგ) კატასტროფულად დაეცა, სამაგიეროდ გაიზარდა დაცული დისერტაციების და აკადემიური დოქტორების რაოდენობა. არავინ ამის წინააღმდეგი არ არის, პირიქით, ოღონდ სად გადის ზღვარი გაზრდილი სამეცნიერო პერსონალის არაკომპეტენტურობასა და ნამდვილ სამეცნიერო კვლევებს შორის?! სამწუხაროდ, დღეს უკვე აღარ არსებობს სამეცნიერო სკოლები, რითაც ასე ამაყობს ქართული მეცნიერება.

მინდა შეგახსენოთ, რომ მეცნიერებას და კულტურას შეუძლია შეინარჩუნოს მთლიანობა მაშინაც კი როდესაც, სამეცნიერო და ფილოსოფიური თეორიების ჩამოშლა ხდება. სწორედ ამ დროს, ორივე მიმართულება ის წყარო ხდება, რომელიც ადამიანს შემოქმედებითი ძალის საშუალებით, შესაძლებლობას აძლევს - მეცნიერების და კულტურის ფარლებში, გადახედოს განვლილ ცხოვრებას და ღირებულებები გადააფასოს. აქ ერთვება უკვე, კულტურის პოლიტიკა. ე.ი. სახელმწიფო, მეცნიერებასთან, კულტურასთან და ხელოვნებასთან ურთიერთობას, კულტურის პოლიტიკით ახორციელებს.

არადა, „კულტურის პოლიტიკა“, რომელსაც თავისი ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია გააჩნია, საქართველოში, მიუხედავად არსებული დოკუმენტის - „კულტურა 2025“, მაინც ფიქციის დონეზე დარჩა და მისი არსის გააზრება ვერაფრით მოხერხდა, რომ ეს - **შეგნებული ქმედებაა, ყველა იმ საკითხზე, რომელიც სოციუმში კულტურის განვითარების რეგულირებისათვისაა საჭირო, რათა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნას მიღებული.** უფრო მარტივად რომ ვთქვათ: **სახელმწიფოს ქმედებაა, რომელიც კულტურის სფეროსაკენ, ხელოვნებისაკენაა მიმართული, რადგან განვითარებულ ქვეყნებში, თანამედროვე კულტურის პოლიტიკა, კულტურის მხარდაჭერის და განვითარების მიზნით - სახელმწიფოს მოღვაწეობაზე, მის საქმიანობაზე დაფუძნდა.** ეს კი ნიშნავს, რომ **სახელმწიფო, საზოგადოებასთან ურთიერთობის მოდელს, კულტურით ახორციელებს.** ევროპულ ქვეყნებში სხვადასხვა დროს, ძირითად პრიორიტეტებს სახელმწიფო განსაზღვრავს და საზოგადოებას, მისი განხორციელებისათვის, მექანიზმებს თავაზობს. რაც კულტურის განვითარებისათვის - უკვე გარანტია. დავუბრუნდეთ საქართველოს მაგალითს. კულტურის პოლიტიკის დამკვიდრება-განვითარება ძლიერ რთულ, ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესების ფონზე მიმდინარეობს. ეს ნაწილობრივ იმითაცაა გამოწვეული (როგორც არაერთგზის ავღნიშნე), რომ ათასწლეულების განმავლობაში დაგროვილ ღირებულებებს შორის

შეჯახება ხდება, თავისი კულტურული ტრადიციებით, ქმნილებებით, შემოქმედებითი, პრაქტიკული პროცესების, რომელიც თავისთავად, ახალი სულიერი და მატერიალური ფასეულობების შექმნას ითხოვს, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობას მხედველობიდან გამორჩა - კულტურის ფაქტორი! (გაიხსენეთ თუნდაც საარჩევნო ციებ-ცხელების დროს პარტიების მიერ წარმოდგენილი პროგრამები, სადაც კულტურა ან ჩამონათვალშია, ან საერთოდ იგნორირებულია), ის მთავარი - რომ სწორედ, კულტურის განვითარება, სოციუმის ღირსეული და ხარისხიანი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რადგან, ვიმეორებ, კულტურა როგორც სოციალური ინსტიტუტი - თავისი თანამედროვე პირობებით, მოქალაქეების ცხოვრების ხარისხზე ზემოქმედებს (ახობაძე, 2018:56).

საქართველოში და არა მხოლოდ აქ, ჩვენთან, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც ადამიანების სოციო-კულტურული გარემოს ასახავს, ჯერ კიდევ არ გააჩნიათ მათი მოგვარება-გადაჭრის ეფექტური საშუალებები, მექანიზმები. მრავალი მიზეზის გვერდით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი - **ახალი სოციო-კულტურული გამოცდილების ინტეგრაციის ნაკლებობაა**, რასაც ამძაფრებს ეთნიკური, კონფესიური დაძაბულობის ზრდა, რომელიც ძირითადად, ეროვნული პოლიტიკის არასწორი გათვლების შედეგია. ჩვენს გვერდით მყოფ ადამიანებს თუ კარგად დავაკვირდებით, იმ სოციუმს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, კარგად შესამჩნევია - არსებული აგრესიულობა სხვა, განსხვავებული თვალსაზრისის, ღირებულებითი სისტემის, სხვა სარწმუნოების, ეროვნების წარმომადგენლების მიმართ. ყველა ამ პრობლემას კი ქართული საზოგადოების **ზოგად სულიერ მდგომარეობასთან** მივყევართ. გარდა იმისა, რომ დავკარგეთ ტერიტორიები, გვეკარგება სოფლები, პატარა ქალაქები, გვეღუპება ადამიანები, საშიშროებაა - **ჩვენი კულტურულ-ისტორიული იდენტურობის დაკარგვის და განადგურების** (განსაკუთრებით უცხოური მოდელების, დასავლური ცხოვრების წესის და ქცევის არასწორი ნიმუშების გამეორების სახით). და თუ, დღევანდელ საქართველოში არსებულ სოციო-კულტურულ გარემოს შევისწავლით, თვალშისაცემია **როგორ კლებულობს ღირებულებითი, ქართული საზოგადოების სულიერი ცხოვრების მაჩვენებლები.** კულტურის, მეცნიერების და განათლების მიმართ დამახინჯებულმა დამოკიდებულებამ, არამარტო ადამიანებს, არამედ ხელისუფლებას შეუქმნა პრობლემები, რომელიც ნათლად აისახა საზოგადოების ცხოვრების დონეზეც და ქვეყნის მდგრად განვითარებასაც ხელს უშლის.

როგორც ყველასთვის ცნობილია, არც ერთი სოციალური სისტემა არ არსებობს პოლიტიკის გარეშე, რადგან ადამიანის პოლიტიკური საქმიანობის საფუძველი - მისი ინტერესებია, პირველ რიგში, სოციალურ-ეკონომიკური. კულტურა ისევ ჩრდილში აღმოჩნდა! წლების განმავლობაში მრავალჯერ აღვნიშნე, რომ **კულტურის მიმართ დამოკიდებულებაში** - ბევრ უსამართლობასაც წავაწყდი. მას შემდეგ არც თუ ისე ცოტა დრო გავიდა, მაგრამ დამოკიდებულება კულტურისადმი - არაერთგვაროვანი და უფრო რთული გახდა, ვგულისხმობ საქართველოს. სულ ცოტა ხნის წინ, ერთმა პატივცემულმა ადამიანმა ასეთი რამ მითხრა: „მე ვუყურებ ბაზრის მოთხოვნას

და იმაზე ვაგებ ორიენტირებსო. რადგანაც არ არის კულტურა მოთხოვნადი დღეს, იმიტომაც საზოგადოებაში არც მისი ორიენტირები არსებობსო“... ასე ფიქრობს საზოგადოების უდიდესი ნაწილი. მათ არც იციან (იკვეთება განათლების პრობლემა), არ აქვთ გააზრებული, რომ სწორედ კულტურის ფუნქციებია: კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის ფასეულობების შეგროვება-დაცვა-გადაცემა და ეს ფუნქცია ადამიანს იმის საშუალებას აძლევს, რომ განვითარდეს, სამყაროში თავისი ადგილი განსაზღვროს. ამაში ტრადიციული კულტურის მექანიზმები, ათასწლეულობით დაგროვილი კულტურული მემკვიდრეობა ეხმარება. **საზოგადოებაში ღირებულებებსა და ორიენტირებს სწორედაც კულტურა ქმნის**, ცხოვრება-საქმიანობას არეგულირებს და მისი შემდგომი განვითარების საფუძველი ხდება... ხოლო კულტურის სოციალიზაციის ფუნქცია, თითოეულ ინდივიდს საშუალებას აძლევს: აითვისოს და განავითაროს გარკვეული სისტემა - ცოდნის, ნორმებისა და **ღირებულებების**, იმისათვის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადაპტირება შეძლოს. რადგან მეცნიერები მიიჩნევენ, რომ კულტურულ პროცესებს მოწყვეტილი ადამიანები - ცუდად ეგუებიან, ერგებიან სოციუმს. ამაშიც კი კულტურის კომუნიკაციის ფუნქციაა ჩართული, რომელიც პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას უზრუნველყოფს და ინტეგრაციის პროცესებს უწყობს ხელს (ახობაძე, 2018).

ყველასთვის ნათელია, რომ თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირება, სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული კანონების ერთობლიობითაა უზრუნველყოფილი. მაგრამ თანამედროვე საზოგადოების შესწავლა, კულტურის ადგილის, როლის და მნიშვნელობის გარეშე, სრულყოფილად ვერ განხორციელდება. კულტურას კი მრავალი დისციპლინა შეისწავლის თავისი ურთულესი და მრავალწახნაგოვანი სპეციფიკიდან გამომდინარე. ამიტომაა დღემდე ამ მრავალფეროვნებაში კულტურის დეფინიციის და კონცეფციისსაკითხებირომგანსახილველად,პერიოდულად,დღისწესრიგში კვლავ დგება. ზოგჯერ კი მთლიან დისციპლინას უქმნის „პრობლემებს“, რაზედაც მეცნიერების ნაწილი განსაკუთრებულად „მგძნობიარე“ ხდება. კულტურის ცნება, ჩვენთვის, ამ სფეროს მკვლევრებისათვის, ერთ-ერთი ფუნდამენტურია თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში. ჩვენს ჩვეულებრივ ცნობიერებაში კი კულტურა - შეფასების კონცეფციას უფრო ემსახურება და ეხება პიროვნების ისეთ თვისებებს, რომლებიც, უფრო ზუსტად, **კულტურას კი არა, კულტურულობას წარმოადგენს.**

ხშირად მიწევს შეხსენება, რომ განვითარებული საზოგადოება მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მხარდაჭერის და კულტურის პოლიტიკის გარეშე არ არსებობს. **ყველა განვითარებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფლაგმანი - კულტურის პოლიტიკაა** და ამის შესახებ ინფორმაცია ღიაა, გამჭვირვალე და ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ოფიციალურ, სამთავრობო საიტებზეა განთავსებული.

ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დაგვანახა, რომ ქვეყნის წინსვლა მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით ვერ განხორციელდა, პროცესი თითქოს დაძრულია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ მოვლენები სწორი გზით წარი-

მართა და არც შედეგებია საიმედო. არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ მწვავე კრიტიკა ადვილია ან სახალისო. სამუშაო პროცესების სამართავად - ის აუცილებელია! მიუხედავად მცდელობებისა, დღემდე ვერ მოხერხდა ამ საკითხებზე, დისკუსიაში, დარგის სპეციალისტებთან, მეცნიერებთან და ექსპერტებთან სახელმწიფოს ჩაბმა, თუმცა დისკუსიები, არც კოლეგებს შორის ხდება ხშირად...

უკვე, XX ს-ის 70-იან წლებში, **მსოფლიოს ქვეყნების თანამეგობრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი** გახდა ის, როგორც აღვნიშნე, რომ კულტურის განვითარების სტრატეგია **კულტურული ღირებულებების კრიტერიუმების ხელმისაწვდომობაზე და მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე დაეფუძნებინა.** ამიტომ, მეცნიერებმა, დარგის ექსპერტებმა კულტურის პოლიტიკის ახალი პარადიგმების ძიება დაიწყეს; წინა პლანზე - თავისი **ღირებულებებით**, ტრადიციებით, საინტერესო ძიებებით, მოვლენებით და მათი განვითარებით, კულტურული იდენტობის საკითხი წამოიწია. ამის შედეგი იყო, ამავე პერიოდში (1966), უმნიშვნელოვანესი **საერთაშორისო დოკუმენტის - „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის და ხელშეწყობისათვის“** შექმნა, ამ პაქტს საქართველოც მიერთებულია, თუმცა ძალიან ხშირად, მივიწყებული რჩება (ჩემს სხვადასხვა ნაშრომში პაქტის მნიშვნელობაზე არაერთხელ გავამახვილე ყურადღება, ქ.ა.).

ჯერ კიდევ XX ს-ის 80-იანი წლებში, მეხიკოს 1982 წლის მსოფლიო კონფერენცია მიეძღვნა კულტურის პოლიტიკას. მან მსოფლიოს უკარნახა თავისი ფორმულა-ლოზუნგი: **„კულტურა არის ფუნდამენტური ელემენტი ყველა ადამიანის და ყველა საზოგადოების ცხოვრებაში“.** მასზე დაყრდნობით, გაერომ (UN) მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1988-1997 წლებში კულტურის მსოფლიო განვითარების დეკადა ჩაეტარებინა, რათა კულტურული ღირებულებების განვითარების უზრუნველსაყოფად, საჭირო მექანიზმების გაცნობიერება მომხდარიყო. სწორედ 1980-იანი წლებიდან დაიწყო მართვის ახალი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც დეცენტრალიზაციის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ეს მოდელი, ხელისუფლებას და რეგიონებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. ასე, XX საუკუნიდან მოყოლებული, ევროპა ამაზე ფიქრობს და პროგრამებს აყალიბებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, საზოგადოებაში, ადამიანების საქმიანობით და სხვადასხვა ტიპის ურთიერთობით შექმნილი **ოთხი ძირითადი სისტემა მუშაობს: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული.**

ეკონომიკური ინტერესები, მჭიდროდ, ხალხის საჭიროებებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ტენდენციების გააზრება და არსებულ ეკონომიკურ სისტემაზე რაციონალურ ზემოქმედებას შეუძლია - საზოგადოების განვითარებას ხელი შეუწყოს მთლიანობაში.

ისმის კითხვა: ეკონომიკის რომელიმე კონკრეტული პროექტი რატომ არის ზოგან წარმატებული, ზოგან კი არა?! ვფიქრობ, ამის მიზეზები ერის მახასიათებლებსა და მის აზროვნებაში არსებულ სტერეოტიპებში უნდა ვეძებოთ. საუკეთესო შედეგის მისაღებად, მკვლევრების იმ თვალსაზრისს ვემხრობი და **მიმაჩნია, რომ ამ პროცესებიდან ინტელექტუალური რესურსის**

გამოთიშვა არასწორია და ეკონომიკური განვითარებისათვის, მიუთითებს ცნობიერებისა და კულტურის არანაკლებ მნიშვნელობაზე.

ადამიანთა საზოგადოების **სოციალური სფეროს** სისტემა ყველა კავშირ-ურთიერთობას მოიცავს, რომელიც საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ფარგლებში, ადამიანებსა და მათ სოციალურ ჯგუფებს, ადამიანებს შორის წარმოიქმნება. ვინაიდან თანამედროვე სამყაროში საზოგადოების სოციალურ ცხოვრებას სახელმწიფო არეგულირებს, ხალხის კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევა მთლიანად სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. **სულიერი (კულტურის) სფერო** კი ყველაზე ვრცელია და შემდეგ ძირითად კომპონენტებს მოიცავს: მეცნიერება, განათლება, ხელოვნება, მორალი, რელიგია. მართალია, ეს სფერო ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ მის გარეშე შეუძლებელია განვითარება-წინსვლა.

როგორც უკვე აღინიშნა, კულტურა და პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია. კულტურა საზოგადოების ღირებულებებსა და ნორმებს აყალიბებს, რომლებიც გავლენას პოლიტიკის ფორმირებაზე ახდენენ. თავის მხრივ, პოლიტიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს კულტურაზე სხვადასხვა პროგრამა-ღონისძიებების მხარდაჭერით (ოღონდ ამის სურვილი უნდა არსებობდეს). როდესაც კულტურა იგნორირებული კი არ არის, როგორც ეს საქართველოშია, მას შეუძლია გავლენა იქონიოს სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, საზოგადოების პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრაზე, რაც - საზოგადოების წევრებს შორის სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას, სიღარიბის დაძლევას და ყველა წევრისთვის - თანაბარ-თანასწორი განვითარებისათვის პირობების შექმნას ხელს შეუწყობდა. აქაც მთავარი სურვილია, რომ ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ხელისუფლების ასეთი აზროვნება და მიდგომა-ქმედები კულტურული აქტივობების მიმართ. მაგალითისათვის ბევრი რამ შეიძლება მოვიყვანოთ, თუმცა **გამოვყოფთ ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და პოპულარიზაცია; საგანმანათლებლო პროგრამები; სამუზეუმო-საგალერეო სივრცის გაფაროება-განვითარება, ხელოვნების მხარდაჭერა, „კულტურის პოლიტიკის“ სწორი ამუშავება** (ისე არა, როგორც დღეს, მხოლოდ ქაღალდზე რომ გვაქვს დაწერილი და გაწერილი) და ა.შ. კულტურის ამ როლის დროულად გააზრება, ეს ერთობლივი წვლილი, ქართულ საზოგადოებას გააძლიერებს და განავითარებს. მასში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებს მკაფიოდ დაგვანახებს, რომელსაც ყველა ქვეყანა, თავისი სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე გადის. თითქოს ყველამ იცის, რომ კულტურა ადამიანის ცხოვრებაში არაერთგვაროვან როლს ასრულებს და მთლიანობაში კი საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია; და რომ კულტურა, ასევე, როგორც საზოგადოება, ემყარება ღირებულების სისტემას; ისიც, რომ - ამ ღირებულებებს, ნებისმიერ კულტურაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი, ბუნებასთან, სოციუმში არსებულ გარემოსთან - პიროვნების ურთიერთობას განსაზღვრავენ. მაგრამ ეს ცოდნა თეორიულ დონეზე რჩება და დღევანდელი

გადასახედიდან, რეალურად, კულტურისათვის არავის „დრო არ აქვს“?! ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის სფეროში არაფერი ხდება. თუნდაც UNESCO-ს მანდატით უამრავი პროექტი ხორციელდება, რომლისთვისაც კულტურა ყველაზე პოპულარული სფეროა და ორგანიზაციისათვის - პრიორიტეტულ პროგრამადაა აღიარებული. ისინი მიიჩნევენ, რომ UNESCO-ს საქმიანობა კულტურის სფეროში - **„ეყრდნობა იმ რწმენას, რომ ძლიერი კულტურული კომპონენტის გარეშე, განვითარება ვერ იქნება მდგრადი“** (unesco/კულტურა).

ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის მცირე გამოცდილებიდამ გამომდინარე, გარწმუნებთ - ჩვენ ვერანაირად ვერ გავიგებთ, ვერ ჩავწვდებით იმ ჭეშმარიტ პოლიტიკურ პროცესებს, თუ მას კულტურის კუთხიდან, კულტურის და მეცნიერების გადასახედიდანაც (ანუ, კომლექსურ ხედვაზე ვსაუბრობ) არ შევხედავთ, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებების გააზრება, როგორიცაა - ძალაუფლება, ძალა, პრესტიჟი, იმიჯი, მორალი და სხვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ, რამდენად ღირებულია ისინი ქართველი პოლიტიკოსებისათვის.

დღეს, მსოფლიო კრიზისის პირობებში, საქართველოშიც, ისე როგორც სხვა „გაჭირვებულ“ ქვეყნებში, მატერიალური ობიექტები (ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებას მაქსიმალურად კომფორტულს ხდის) აღქმულია ღირებულებებად. ეს საკითხი გარკვეული პიროვნებისათვის, გარკვეული ჯგუფისათვის - უმნიშვნელოვანესია, რადგან მათ, სულიერი გზა და მაღალი ფასეულობები აირჩიეს, მაგრამ ადამიანების ნაწილისათვის, ეს ყოველივე, არანაირ ინტერესს არ წარმოადგენს. მაშინ გამოსავალი რაშია?! ვფიქრობ და იმ მკვლევრების თვალსაზრისს ვემხრობი, რომელთა აზრითაც **თანამოაზრე ადამიანებს, ერებს** და მთლიანად, კაცობრიობას შეუძლია - **გადაინაწილონ პასუხისმგებლობა და ღირებულებების იმ სფეროს მოუარონ რომელიც ხელეწიფებათ**. განსაკუთრებით რთული იქნება სულიერ დონეზე ამაღლება, რადგან დღევანდელ, სამწუხაროდ, „ზნეობრივად გაუარესებულ“ საზოგადოებას, პირველ რიგში - ეს ჭირდება. თანამედროვე მსოფლიოში ნეგატიური მოვლენები თანდათან იზრდება, რაც ანთროპოლოგიური კრიზისის საშიშროებას იწვევს. სულიერების გარეშე ნებისმიერი საზოგადოება - საფრთხის ქვეშაა. საქართველოც არ არის გამონაკლისი!

ცნობილია, რომ ძალაუფლების პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრშია. ხალხის პოლიტიკური საქმიანობა მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტის, ურთიერთობისა და ნორმის ფარგლებში, გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულებებისა და კულტურის სულიერი ღირებულებების საფუძველზე. ისიც კარგად ვიცით, რომ ისინი ერთად, საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას წარმოადგენენ, ურთიერთქმედებენ სხვა ქვესისტემებთან, აერთიანებენ მათ, რათა უზრუნველყონ საზოგადოების სტაბილურობა და განვითარება.

დიდი ალბათობით, ეკონომიკურ წინსვლას თან მოაქვს თანდათანობითი ცვლილებები სოციალურ, კულტურის და ხელოვნების სფეროშიც. თავის მხრივ, კულტურა, განსაკუთრებით უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, დემოკრატიის პროცესში დიდ როლს თამაშობს, რაც გამოიხატება: ნდობის,

თანადგომის, თანაგრძნობის, კეთილდღეობის, თანამონაწილეობის, მიმტევებლობის და სხვა ღირებულებების გაჩენით, მეტ-ნაკლები სტაბილურობით. მისი გადარჩენა-შენარჩუნება კი ნამდვილად რიგითი მოქალაქეების, ჩემ და თქვენ ღირებულებებზე, რწმენაზეა დამოკიდებული.

დასკვნისათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს მსჯელობა მხოლოდ ერთი ძირითადი პოსტულატის დასამტკიცებლად იყო მიმართული, რომ საზოგადოების ოთხივე სფერო - **პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და სოციალური** - სრულიად დამოუკიდებელი მოცემულობაა, მაგრამ ამავდროულად, ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ცხოვრება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და თითოეულ ამ სფეროს, გარდა თავისი მახასიათებლებისა, აქვს ადგილი და დრო-სივრცული განზომილება. სრულყოფილი არსებობისათვის, ნებისმიერ სახელმწიფოში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეს სფერო უაღრესად განვითარებული იყოს, რადგან რომელიმე მათგანის რეგრესი, დანარჩენების საკმაოდ სწრაფად დაცემას იწვევს. ხელისუფლება კი რამდენად კარგად მართავს ქვეყანას, იმდენად ჩვენც, ქვეყნის მოსახლეობა თავს დაცულად ვგრძნობთ.

შეჯამებისათვის, წარმოგიდგენთ კულტურული ორიენტაციების რუკის 2020 წლის ვერსიას, რომელიც ეფუძნება სოციოლოგების - რონალდ ინგლეჰარტის, კრისტიან ველცელის და მათი თანაავტორების კვლევის შედეგებს. მათ შეისწავლეს, თუ როგორ მოქმედებს ადამიანების ღირებულებების შეცვლა ეკონომიკურ განვითარებაზე, დემოკრატიის გაძლიერება-განვითარებაზე და მოქალაქეების ცხოვრების ხარისხზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ((Инглхарт, 2023, 40-42). თუმცა ამ თეორიასაც კრიტიკოს-ოპონენტები გამოუჩნდნენ.

საზოგადობაში მიმდინარე კულტურული ანუ სულიერი ცვლილებები ხშირად შიშს იწვევს იმათში, ვინც ტრადიციულ ნორმებს ეჭიდება და ცვლილებებს შეშფოთებით უყურებს. ამ ცვლილებებმა წარმოშვა დღეს,



განვითარებულ ქვეყნებში, ყველაზე აქტუალური პოლიტიკური საკითხები. სტატიაში ნახსენები პოლიტიკური „ნიუსიც“ ამიტომ დამჭირდა. კულტურული ცვლილებებით კი ასევე, შესაძლებელია, პროფესიონალმა ანალიტიკოსებმა ახსნან - მიმდინარე თანამედროვე კონფლიქტი ისლამურ ფუნდამენტალისტებსა და დასავლურ საზოგადოებებს შორის. მიუხედავად მეცნიერების ფართო წრეში, თეორემათა ფორმულირებაში არსებული განსხვავებებისა, ანთროპოლოგებმა, პოლიტოლოგებმა, სოციოლოგებმა, ისტორიკოსებმა და სხვა დარგების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს კულტურის და ინსტიტუციური ცვლილების შესახებ გადამკვეთი, საოცრად მსგავსი თეორიებიც, რაც გამოიხატა იმ ერთიანობაში, რომ ისეთი საფრთხეები, როგორიცაა ომი, შიმშილი, პანდემია და ა.შ. აყალიბებს კულტურულ ნორმებს და საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურის ინსტიტუტებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

akhobadze, k. (2020). kultura da kulturuli faseulobebi rogorc sazogadoebis moraluri sakhis anarekli. *matsne. istoriis, arkeologiis, etnologiisa da khelovnebis istoriis seria.* tbilisi. № 2. (ახობაძე, ქ. (2020). კულტურა და კულტურული ფასეულობები როგორც საზოგადოების მორალური სახის ანარეკლი. *მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია.* № 2. თბილისი.).

akhobadze, k. (2020). kulturis mnishvnelobis da rolis gaazrebisatvis tanamedrove sazogadoebashi. 20. tbilisi. (ახობაძე, ქ. (2020). კულტურის მნიშვნელობის და როლის გააზრებისათვის თანამედროვე საზოგადოებაში. **ქართული დიპლომატია. წელიწდეული.** 20. თბილისი.).

akhobadze, k. (2018). *sakhelmtsipo da kulturis politika.* tbilisi: gamomcemloba “universali”. (ახობაძე, ქ, (2018). *სახელმწიფო და კულტურის პოლიტიკა.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.).

kodua, ed. (2001). *Kulturis sotsiologia*. tbilisi. (კოდუა ედ. (2001). *კულტურის სოციოლოგია.* თბილისი.

sotsialur da politikur terminta leksikoni-tsnobari (2004).red. m.chitashvili. tbilisi: gamomtsemloba “logos presi”. (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. (2004). რედ. მარინე ჩიტაშვილი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.).

Neil Joseph Smelser. Kultura da sazogadoeba. ნეილ სმელზერი. კულტურა და საზოგადოება.http://socium.ge/downloads.pdf.

Inglehart R. 1977. The Silent Revolution: Changing Values and Political Styles Among Western Publics. Princeton, NJ: Princeton University Press.

Ronald Inglehart, Christian Welzel. Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence. Cambridge University Press, 2005 (Модернизация, культурные изменения и демократия /

Безвербный А.А. и др,.Политология. 2000. https://all-politologija.ru/knigi/bezverbnyj-politologiya/vzaimosvyaz-kulturi-i-politiki/pdf. 03.12.23

Грозовский Б,.2021/ https://econs.online/articles/opinions/ronald-inglkhart-kak-motivatsii-i-tsennosti-menyayut-mir/ 07.01.2024

Инглхарт Р., Вельцель К. — М.: Новое издательство, 2011. — 464 с.).

Казьмин А. К. Философские проблемы концепции эволюции человека // Вестник РФО. – 2004. – № 3. – С. 104–105./05.12.2023

Культура как инструмент внешней политики государства / В. В. Полякова. — Текст: недвижимость // Молодой ученый. — 2016. — № 15 (119). — С. 388-390. — URL: https://moluch.ru/archive/119/33050/ 01.05.2024

Новиков А.М. О роли науки в современном обществе. Ст.163-172; http://anovikov.ru/artikle/rol_n.htm 06.01.2024

Поликанова Е. П. Журнал:Философия и общество. Выпуск №3(75)/2014/ https://www.socionauki.ru/journal/articles/249059/ 05.12.2023

The University of Tennessee/Libraries/ https://web.archive.org/web/2011-0927171539/http://www.lib.utk.edu/spcoll/manuscripts/2031.html 07.01.2024

Stanford Encyclopedia of Philosophy/https://plato.stanford.edu/entries/nicolai-hartmann/ 07.01.2024

Филип Х,. 2023/https://nauchniestati.ru/spravka/kultura-i-soczialnaya-politika/05.01.2024

იუნესკოს საერთაშორისო ნორმატიული აქტები. https://unesco.ge/?page_id=645 17.01.2023

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა/ საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი/კულტურული ფასეულობა /http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=4&t=2110 23.07.2023

https://www.bibliofond.ru/view.aspx?id=585353 07.01.2023

http://www.culturepartnership.eu/page/culture-matters (17.01.2020)

http://socium.ge/downloads/socshesavali/kultura (17.01.2020)

https://www.britannica.com/biography/Herbert-Spencer (17.01.2020)

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12457. (21.01.2021)

http://network.icom.museum/icom-georgia (21.01.2021)

http://www.matsne.gov.ge (21.01.2021)

https://papeleta.ru/medicine-for-throat/svyaz-obshchestvennyh-sfer-vzaimosvyaz-ekonomicheskoi-socialnoi/ (05.01.2024)

Энциклопедический словарь http://philosophy.niv.ru/doc/dictionary/modern-western philosophy/articles/11/hartman/dzheffri.htm (05.01.2024)

https://zaochnik.com/spravochnik/filosofija/sotsialnaja-filosofija/(05.01.2024)

https://sociology.mephi.ru/docs/polit/html/ingl.htm (05.01.2024)

http://www.worldvaluessurvey (05.01.2024)

http://www.europeanvaluesstudy.eu (05.01.2024)